ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1958279

ნომერი: AR1316874

თარიღი : 10.06.2015

გაცემის თარიღი : 16.06.2015

გაცნობის თარიღი : 17.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია კ.ძნელაძის ქ. N 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015

წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 10 ივნისის AR1316874 განაცხადით მომართა შპს "ლუმაქ ჯგუფი"-ს დირექტორმა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს "ლუმაქ ჯგუფი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.035.440), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 28 მაისიდან 2016 წლის 18 აპრილის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ლუმაქ ჯგუფი".

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისად განცხადებელი მოითხოვს აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემდეგი სახით დაფიქსირებას:

•ავტოსადგომის ფართობი 751.51
•საცხოვრებელი ფართი-2453.61
•საზაფხულო ფართი-373.92
• საერთო ფართობი- 4926.44

ასევე, AR1316874 განცხადებით წარმოდგენილია 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო ობიექტის გადახურვის გეგმა PDF ფაილის სახით და მოთხოვნილია აღნიშნული გეგმის დართვა 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებისთვის.

2015 წლის 10 ივნისის AR1316874 განცხადებით წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, გადახურვის გეგმისა და 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინდა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გადახურვის გეგმა შესაბამისობაშია 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 28 მაისის N1922674 ბრძანებასთან ერთად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან